


## საკანონმდებლო სიახლეები ივლისი-აგვისტო 2020

### შინაარსი

ცვლილებები საქართველოს ფინანსთა  
მინისტრის ბრძანებაში № 996  
გვერდი 1

ცვლილებები საქართველოს ფინანსთა  
მინისტრის ბრძანებაში № 994  
გვერდი 2

ცვლილებები საქართველოს საგადასახადო  
კოდექსში  
გვერდები 2-3



სალომე ოდიშარია  
საგადასახადო კონსულტანტი

T: +995 (599) 195 040  
E: salome.odisharia@moore.ge



თეონა აბდუშელიშვილი  
პარტნიორი

T: +995 (558) 506 006  
E: theona.abdushelishvili@moore.ge

### ცვლილებები საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებაში №996

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის ბრძანებაში №996, რომელიც გადასახადების აღმინისტრირებას შეეხება, შევიდა შემდეგი სახის ცვლილებები:

- ბრძანების 51-ე მუხლს დაემატა შემდეგი შინაარსის მე-7 პუნქტი: მუხლის მე-4 პუნქტის მიზნებისათვის, სწორი და ეფექტიანი რისკის კრიტერიუმების შესაშუშავებლად და სამართავად, შემოსავლების სამსახური უფლებამოსილია გამოიყენოს და გამოიყენოს საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სოციალური მომსახურების სააგენტოს აღმინისტრირებად „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში“ დაცული პერსონალური მონაცემები (გარდა განსაკუთრებულ კატეგორიას მიკუთვნებული მონაცემებისა), დამატებული ღირებულების გადასახადის (დღგ-ის) გადახდელად რეგისტრირებული პირების შესახებ“;
- ბრძანებას დაემატა სრულიად ახალი 17 პრიმა 1 მუხლი „საგადასახადო მოთხოვნის გასაჩივრებაზე უარის თქმა“, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსის მე-8 მუხლის მე-5 ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტს – აღიარებულ საგადასახადო დავალიანებას ეხება;
- შეიცვალა 75 პრიმა 5 მუხლის პირველი პუნქტის შენიშვნა (აღნიშნული ცვლილება ძალაში შედის 2020 წლის 24 სექტემბრიდან): დღგ-ის თანხის დაბრუნებისათვის ამ პუნქტის „დ“ და „ვ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული პირობები, რომელიც ითვალისწინებს საქონლის ბარგის ან ხელბარგის სახით გატანას და სხვა საქონლისაგან დამოუკიდებლად წარდგენას, არ ვრცელდება საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის 4011 20 კოდით განსაზღვრულ საბურავზე, რომელიც წარედგინება სატრანსპორტო საშუალებაზე დაყენებულ მდგომარეობაში და მასზე განთავსებულია სპეციალური სტიკერი, შემდეგი მოთხოვნების დაცვით:
  - ა) სტიკერზე დატანილია საბურავის საიდენტიფიკაციო ინდივიდუალური (უნიკალური) კოდი/კომბინაცია ან სპეციალური წამკითხველის მეშვეობით აღქმადი, საბურავის საიდენტიფიკაციო ინდივიდუალური (უნიკალური) კოდის/კომბინაციის შემცველი შტრიხკოდი;
  - ბ) სტიკერი განთავსებულია ისეთი სახით და იმდაგვარად, რომ:
    - ბ.ა) ხელს არ უშლის შემოსავლების სამსახურის უფლებამოსილი პირის მიერ მის შემოწმებას;
    - ბ.ბ) მისი მოხსნა გამოიწვევს სტიკერის დაზიანებას.



MOORE

T: +995 (322) 000 123  
E: info@moore.ge  
მისამართი: მარჯანიშვილის ქ. N6, მწვანე  
შენობა, 0102, თბილისი, საქართველო



>114  
ქვეყანაში



>260  
წამრი



>579  
ოფისი



>30,809  
თანამშრომელი

## ცვლილებები საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებაში №994

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის ბრძანებას №994, რომელიც მიმდინარე კონტროლის პროცედურების ჩატარების, სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა ჩამოწმის, აღიარებული საგადასახადო დავალიანების დაფარვის, საგადასახადო დავალიანების გადახდებიდან უზრუნველყოფის ღონისძიებების განხორციელების, სამართალდარღვევათა საქმისწარმოების წესს შეეხება, დაემატა შემდეგი შინაარსის პუნქტი:

- 69-ე მუხლის მე-4 პუნქტის შემდეგ დაემატა 4 პრიმა 1 პუნქტი: საგადასახადო სამართალდარღვევის გამოვლენის მიზნით, საგადასახადო ორგანო უფლებამოსილია, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, გამოიყენოს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსაგან მიღებული ინფორმაცია, მათ შორის, რეალურ დროში ჰქონდეს წვდომა ვიდეოსამეთვალყურეო სისტემის მიერ პირთა საკუთრებაში არსებული ავტოსატრანსპორტო საშუალებების ადგილმდებარეობის ამსახველ მონაცემებზე

## ცვლილებები საქართველოს საგადასახადო კოდექსში

- 2020 წლის 14 ივლისიდან საქართველოს საგადასახადო კოდექსში შევიდა მნიშვნელოვანი ცვლილებები, რომლის თანახმად მოხდა ზოგიერთი საკითხის დაზუსტება, ხოლო რიგ შემთხვევებში მოხდა ახალი ნაწილების დამატება კონკრეტულ მუხლებში, კერძოდ:
- სსკ-ის 80-ე მუხლს დაემატა შემდეგი შინაარსის მე-6 ნაწილი: არარეზიდენტი ფიზიკური პირის, რომელიც ქონების იჯარისთვის/გაქირავებისთვის ანაზღაურებას იღებს პირისგან, რომელიც არ არის ამ კოდექსის 154-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული საგადასახადო აგენტი, საშემოსავლო გადასახადით დაბეგვრის ობიექტია სხვაობა კალენდარული წლის განმავლობაში საქართველოში არსებული წყაროდან მიღებულ ერთობლივ შემოსავალსა და ამ შემოსავლის მიღებასთან დაკავშირებული გამოქვითვების თანხებს შორის.“ აღნიშნული ჩანაწერით არამენარმე ფიზიკური პირის მიერ არარეზიდენტ ფიზიკურ პირზე იჯარის/გაქირავების საფასურის გადახდისას კანონმდებლობით საგადასახადო ვალდებულება დაეკისრა არარეზიდენტ ფიზიკურ პირს;
- დაზუსტდა სსკ-ის 82-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ.გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შეღავათის გამოყენების პირობები, კერძოდ, ცვლილებით განისაზღვრა, რომ შეღავათით სარგებლობის მიზნებისათვის, აქტივების ეკონომიკურ საქმიანობაში გამოყენება მხედველობაში არ მიიღება, თუ მათი ეკონომიკურ საქმიანობაში გამოყენების დასრულების მომენტიდან მათ მიწოდებამდე გასულია 2 წელი;
- სსკ-ის 82-ე მუხლის მე-4 ნაწილს დაემატა „ა1“ და „ა2“ ქვეპუნქტები, რომლის თანახმად დაკონკრეტდა, რომ აქტივის საკუთრებაში ფლობის 2 წლიანი ვადის მიზნებისთვის გათვალისწინება ფიზიკური პირის (I რიგის მემკვიდრის) მიერ ჯამურად მის და მამკვიდრებლის/ მრეწებლის საკუთრებაში ფლობის ვადა;



- განხორციელდა დაზუსტებითი და რედაქციული ხასიათის ცვლილებები მიკრო და მცირე ბიზნესის სტატუსის: მიღების (სსკ-ის 85-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი), გაუქმების (სსკ-ის 89-ე მუხლი) და ანგარიშგების წარდგენის პირობების (სსკ-ის 93-ე მუხლის მე-2 ნაწილი) დაზუსტების მიზნით, კერძოდ: ფიზიკური პირისათვის მინიჭებული მიკრო ბიზნესის სტატუსის გაუქმების შემთხვევაში ამ მომენტისთვის ფიზიკური პირის შემოსავალი ექვემდებარება დაბეგვრას: ა) მცირე ბიზნესის სტატუსის მიღებისას – მიკრო ბიზნესისთვის დადგენილი წესის შესაბამისად (სსკ-ის 85-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი); მცირე ბიზნესის სტატუსი უქმდება, თუ: ე) პირი არ აკმაყოფილებს ამ კოდექსის 88-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ მოთხოვნას (სსკ-ის 89-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტი); მიკრო ბიზნესის სტატუსის მქონე ფიზიკური პირი საქართველოში ეკონომიკური საქმიანობის შეწყვეტიდან 30 სამუშაო დღის ვადაში საგადასახადო ორგანოს წარუდგენს დეკლარაციას (სსკ-ის 93-ე მუხლის მე-2 ნაწილი);
- სსკ-ის 101-ე მუხლის მე-3 ნაწილში განხორციელდა ცვლილება, რომლის შესაბამისადაც, სავალდებულო დაზღვევის შესახებ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, დამქირავებლის მიერ დაქირავებულის სასარგებლოდ სადაზღვევო პრემიის გადახდით მიღებული სარგებელი ხელფასის სახით მიღებულ შემოსავალში არ შეიტანება; დადგინდა შემთხვევები რა დროსაც დამქირავებლის მიერ დაქირავებულის საცხოვრებელი/კვებით უზრუნველყოფა არ განიხილება ხელფასის სახით მიღებულ შემოსავალად;
- ცვლილებების შედეგად სსკ-ის 130-ე მუხლიდან ამოღებულია დებულება, რომლის შესაბამისად, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის მიერ მიღებული დივიდენდები, რომლებიც დაიბეგრა გადახდის წყაროსთან, არ ჩაირთვება ამ პირის ერთობლივ შემოსავალში და შემდგომ დაბეგვრას არ ექვემდებარება;
- სსკ-ის 131-ე მუხლის პირველი ნაწილი ჩამოყალიბდა ახალი რედაქციით, ხოლო ამ მუხლის მე-4 ნაწილი ამოღებულია. სსკ-ის 131 მუხლი პირველი ნაწილის თანახმად: არარეზიდენტის მუდმივი დაწესებულების ან რეზიდენტის მიერ ან მათი სახელით ფიზიკური პირისათვის ან საქართველოში მუდმივი დაწესებულების არმქონე არარეზიდენტისათვის გადახდილი პროცენტი იბეგრება გადახდის წყაროსთან გადასახდელი თანხის 5 პროცენტიანი განაკვეთით;

## ცვლილებები საქართველოს საგადასახადო კოდექსში (გაგრძელება)

- დაკონკრეტდა სსკ-ის 154-ე მუხლის პირველი ნაწილის „მ“ ქვეპუნქტის ჩანაწერი: პირი, რომელიც ქონებას უსასყიდლოდ გადასცემს ფიზიკურ პირს, რომელიც ინდივიდუალურ მენარმედ რეგისტრირებული არ არის, გარდა ამ პირის მიერ ამავე ფიზიკური პირისათვის ;
- საგადასახადო წლის განმავლობაში 1000 ლარამდე ღირებულების ქონების უსასყიდლოდ გადაცემისა. ასეთ შემთხვევაში, საგადასახადო აგენტის მიერ გადახდის წყაროსთან გადასახადის დაკავების წესს ადგენს საქართველოს ფინანსთა მინისტრი;
- სსკ-ის 981 მუხლის მე-2 ნაწილს დაემატა „ვ“ ქვეპუნქტი, რომლის თანახმად განაწილებულ მოგებად არ ითვლება მიღებული დივიდენდის შემდგომი განაწილება საქართველოს საგადასახადო კოდექსის 21-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული პირის (გარდა უცხოური საწარმოს მუდმივი დანესებულებისა) მიერ რომელსაც, მართვის ადგილი გადმოტანილი აქვს საქართველოში;
- სსკ-ის 983-რეზ 3 მუხლი მე-3 ნაწილს დაემატა „ზ“ ქვეპუნქტი, რომლის თანახმად მოგების გადასახადით არ იბეგრება უსასყიდლოდ საქონლის მიწოდება, მომსახურების გაწევა ან/და ფულადი სახსრების გადაცემა, იმ პირისთვის, რომელიც მოგების გადასახადით იბეგრება სსკ-ის 97-ე მუხლის პირველი და მე-3 ნაწილებით გათვალისწინებული დაბეგვრის ობიექტების მიხედვით;
- სსკ-ის 309-ე მუხლს დაემატა 118-ე ნაწილი და განისაზღვრა, რომ ამგვარ შემთხვევებში პირი ვალდებულია, 2017 წლის 1 იანვრიდან სტატუსის მიღებამდე იმ საანგარიშო პერიოდებში მიღებული წმინდა მოგებიდან, როდესაც პირი მოგების გადასახადით იბეგრებოდა საგადასახადო კოდექსის 97-ე მუხლის პირველი და მე-3 ნაწილებით გათვალისწინებული დაბეგვრის ობიექტების მიხედვით, შესაბამისი სტატუსის მიღების შემდგომ საანგარიშო პერიოდებში დივიდენდის განაწილება დაბეგვრის მოგების გადასახადით საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ დადგენილი წესით;
- სსკ-ის 309-ე მუხლს დაემატა 119-ე ნაწილი, რომლითაც განისაზღვრა, რომ თუ საწარმო, რომელმაც დაკარგა სსკ-ის 309-ე მუხლის 94-ე ნაწილით გათვალისწინებული პირის სტატუსი, სტატუსის დაკარგვის შემდგომ საანგარიშო პერიოდებში გაანაწილებს დივიდენდს 2017 წლის 1 იანვრიდან სტატუსის დაკარგვამდე იმ საანგარიშო პერიოდებში მიღებული წმინდა მოგებიდან, როდესაც პირი მოგების გადასახადით იბეგრებოდა ამავე მუხლის 95-ე ნაწილით გათვალისწინებული დაბეგვრის ობიექტის მიხედვით, მას უფლება აქვს, ჩაითვალოს ამ პერიოდების მიხედვით ღარიცხული და გადახდილი მოგების გადასახადის თანხა;
- გაუქმდა 174-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ვ1“ ქვეპუნქტით დადგენილი შეზღუდვები, რომელიც ეხებოდა საბაჟო დეკლარაციით, სსიპ-ის მიერ გაწეულ მომსახურებაზე და აუქციონის წესით შეძენის შემთხვევაში, გადახდის დამადასტურებელი საბუთით დღგ-ს ჩათვლის საკითხს;

- სსკ-ის 201-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდა ახალი რედაქციით:
  - ა) რეზიდენტი საწარმო/ორგანიზაცია: ა.ა) მის ბალანსზე ძირითად საშუალებად ან/და საინვესტიციო ქონებად აღრიცხულ აქტივებზე, დაუმონტაჟებელ მონაცხილობებზე, დაუმთავრებელ მშენებლობაზე, აგრეთვე მის მიერ ლიზინგით გაცემულ ქონებაზე ა.ბ) სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის ღონისძიების ფარგლებში მიღებულ (დასაკუთრებულ) უძრავ ქონებაზე, იახტაზე (კატარაზე), შეველმფრენზე, თვითმფრინავსა და სხვა სატრანსპორტო საშუალებაზე ა.გ) ფულადი ვალდებულების (გარდა სისხლის სამართლის და ადმინისტრაციული წესით დაკისრებული სანქციებისა) გადახდევინების ფარგლებში აუქციონის, პირდაპირი მიყიდვის ან სხვა წესით შეძენილ უძრავ ქონებაზე, იახტაზე (კატარაზე), შეველმფრენზე, თვითმფრინავზე და სხვა სატრანსპორტო საშუალებაზე;
- სსკ-ის 202-ე მუხლს დაემატა ახალი დებულება, რომლითაც დაზუსტდა, რომ დასაბეგრ ქონებაზე ფიზიკური პირის ქონების გადასახადის გაანგარიშება ხორციელდება საგადასახადო პერიოდის განმავლობაში ამ ქონების ფიზიკური პირის საკუთრებაში არსებობის დროის პროპორციულად;
- სსკ-ის 286-ე მუხლის პირველი ნაწილი ჩამოყალიბდა ახალი რედაქციით, რომლის თანახმად ამოღებულ იქნა მიწოდებული/მისაწოდებელი საქონლის საბაზრო ღირებულების 10 000 ლარიანი ზღვარი და ცამოყალიბდა შემდეგი რედაქციით: სამეწარმეო საქმიანობისათვის საქონლის სასაქონლო ზედნადების გარეშე ტრანსპორტირება, მყიდველის მოთხოვნისას სასაქონლო ზედნადების გაუცემლობა ან საქონლის შეძენისას სასაქონლო ზედნადების მიღებაზე უარის თქმა - იწვევს დაჯარიმებას 500 ლარის ოდენობით.

კითხვების შემთხვევაში, მოგვმართეთ!

[www.moore-georgia.ge](http://www.moore-georgia.ge)

[info@moore.ge](mailto:info@moore.ge)

Tel: +995 32 2 000 123

